



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 43
30/08/2019

43-04-4-201908301523



**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის
მიერ 2019 წლის II კვარტალში გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით
დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის
მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
სამსახურის მიერ 2019 წლის II კვარტალში გაწეული სამუშაოს ანგარიში, თანახმად
დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით
დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ
კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში
ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის
გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე



ქედის მუნიციპალიტეტის მერის ზედამხედველობის სამსახურის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2019 წლის II კვარტალში გაწეული სამუშაოს შესახებ

მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია 3 (სამი) სამშენებლო ნებართვა. კერძოდ, სოფელ შევაბურში მადონა აბულაძის ერთსართულიან შენობაზე სართულის დაშენების, დაბა ქედაში ტბ.აბუსერიძის ქ. N 16-ში სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოზე“ საზოგადოებრივი ცენტრი „სოფლის სახლი“-სა და სოფელ მილისში ფრიდონ გვარიშვილზე ინდივიდუალური საცხოვრებელი ხის კოტეჯის მშენებლობებზე. სამსახურის მიერ შედგენილი იქნა ერთი მითითება სოფელ მახუნცეთში უნებართვო მშენებლობის განხორციელების შესახებ.

ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუთავების სამუშაოები შპს ქედის „კომუნალურსერვის“-ის სამსახურთან ერთად დაბა ქედის ტერიტორიაზე. კერძოდ გაიწმინდა და დასუთავდა პარკები და სკვერები ნაგვისა და ნარჩენებისაგან, მოწესრიგდა მუნიციპალიტეტის მერიის, ეკლესიის, ტბ. აბუსერიძის, ყ.შერვაშიძის, წერეთლის ქუჩების ტერიტორია. სისტემატურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან. მახუნცეთის თემის მოხელეებთან ერთად ჩატარდა დასუთავების აქცია მახუნცეთში (აწვესის დასახლება). „დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით ბათუმი-ახალციხის ცენტრელორ საავტომობილო გზაზე პირველი მაისი- წონიარისის მიმართულებით ჩატარდა დასუთავების აქცია, რომელშიც მონაწილეობა მოსახლეობასთან ერთად მიიღეს საჯარო მოხელეებმა, შპს-სა და ააიპ-ის თანამშრომლებმა. შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ განხორციელდა დაბა ქედაში მრავალწლიანი ნარგავების შეთეთრება.

სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ზედამხედველობის სამსახურისა და შპს „კომუნალურსერვისი“-ს მიერ განხორციელდა გაფრთხილება ფიზიკური და იურიდიული პირებისა, რადგან მათ სამოქმედო ტეროტორიაზე მოახდინონ მოვლა პატრონობა და დანაგვიანების აღკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე, დასუთავების წესების დარღვევისთვის გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. განხორციელდა აწვესის, დაბა ქედის ზვარის, წონიარისისა და ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებში მოსახლეობასთან შეხვედრები გარემოს დანაგვიანებაზე. განთავსებულ იქნა საჯარო ადგილებში გამაფრთხილებელი პლაკატები და დარიგებული იქნა ბუკლეტები. სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მდინარე აჭარისწყლის სანაპიროდან ინერტიული მასალების მომპოვებელი კომპანიები, რათა არ მოახდინონ გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილის დანაგვიანება. გამოვლენილი ფაქტების შემთხვევაში მათზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

საანგარიშო პერიოდში შპს „წყალკანალი“-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა აწვესის, წერეთლის, რუსთავლის, ყ.შერვაშიძისა და 9 აპრილის ქუჩაზე. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ქედა-ზენდიდისა და

ქედა-შევაბურისა სასმელი წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა.

სამსახური აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქედის განყოფილების წარმომადგენელთან ერთად სისტემატურად ანხორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევებზე მონიტორინგს დაბა ქედაში განთავსებულ სადალაქოებსა და სალონებში.

სამსახურმა შპს „როდას“-ს და შპს ჯიჯი-2013“-ს გადაუგზავნა შესრულებული სამუშაოების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნის წერილები, რათა საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრან პრობლემები. მათ მიეცათ გონივრული ვადა სამუშაოების შესრულებისათვის.

შესწავლილი იქნა დაბა ქედისა და თემის ცენტრების გარე-იერსახის, გარე- რეკლამის, გარე-ვაჭრობისა და სანიტარული დასუფთავების მდგომარეობა მისი მოწესრიგების მიზნით. ობიექტის მფლობელებს მიეცათ გაფრთხილება კეთილმოეწყოთ ობიექტის გარე სარეკლამო აბრები და დაიცვან სანიტარული დასუფთავების წესები.

დაბა ქედის ცენტრში მოწესრიგდა სავაჭრო ჯიხურები, შეიღება და კეთილმოეწყოთ მიმდებარე ტერიტორიები მეპატრონეების მიერ აზუსტირების და წერეთლის ქუჩაზე. დაიშალა უნებართვო და უსახური შენობა-ნაგებობები 9 აპრილის, რუსთაველის ქუჩაზე.

სისტემატურად ვახდენ კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა-ნაგებობებზე, უსახურ, ამორტიზირებულ ობიექტებზე ღონისძიებების გატარებას. ჩატარდა კეთილმოწყობითი სამუშაოები. კერძოდ, დასრულდა სოფელ ჭალახმელაში გზის ნაპირზე გაბიონის, ზვარეში მილხიდის, სოფელ დანდალოში არჩილ არძენაძის სახლთან საყრდენი კედლის, სოფელ ხარაულაში მჟავანაძეების უბანში საწრეტი არხის მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარეობს სოფელ ზუნდაგაში, ვარჯანისში, კოკოტაურში და სირაბიძეებში ახალი სასმელი წყლის სისტემის სამუშაოები. ასევე ხორციელდება დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე საყრდენი კედლის გამაგრებითი, დანდალოს თემში მეწყერსაწინააღმდეგო, სოფელ ზუნდაგაში სანიაღვრე არხისა და მინი სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაბა ქედაში და მახუნცეთში. დასრულდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა უსახური, და ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების მონიტორინგი. შესწავლილი იქნა დაბა ქედაში სახოკიას, აღმაშენებლისა და კოსტავას ქუჩებზე მდებარე ყოფილი სამხედრო კომისარიატის ავტოგარაჟის, თამბაქოს მიმღები პუნქტისა და ყოფილი გამგეობის საქვაბე შენობა-ნაგებობების მდგრადობა. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობები ავარიულ მდგომარეობაშია და ექვემდებარება დემონტაჟს.

სამსახური დროულად ახდენს რეაგირებას შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე. ყველა მათგანს დროულად გაეცა პასუხი.

ზედამხედველობის სამსახური საგანგებო მსჯელობის საგნად გახდის, როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე კერძო მოსახლეობის მხრიდან საზედამხედველო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფაქტებზე შესაბამის ღონისძიებებს.